პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერწყიდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 287 (11291) | შაბათი, 13 დეკემბერი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

მეცნიერები—კომუნისტურ შრომას

ჩვენ ვცხოვრობთ დიად ეპოქაში. ყოველი დღე ჩვენს ქვეყანაში აღსავსეა დიდი საქმეებით. ყოველი დღე წინგადადგმული გიგანტური ნაბიჯია დიადი მიზნისაკენ — კომუნისტური საზოგადოების აშენებისაკენ, საბჭოთა ხალხების ბედნიერი და აყვავებული ცხოვრებისაკენ.

ჩვენი ქვეყნის ეს დიადი წინსვლა ხორციელდება კომუნისტური პარტიის ბრძნული და გაბედული ხელმძღვანელობით. პარტიამ, რომელიც თავის მოღვაწეობაში გზას ინათებს მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეებით, შეიმუშავა გაშლილი კომუნისტური შენებლობის დიდებული პროგრამა, რომელიც გამოხატულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში.

ჩვენი ქვეყნის ხალხების შემოქმედებითმა აქტივობამ და პატრიოტულმა თაოსნობამ დიდი გაქანება ჰპოვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში. შეჯიბრების მსვლელობაში ყოველდღე იბადება და სწრაფად ხდება საერთო კუთვნილებად მუშაობის ახალი, პროგრესული ფორმები და მეთოდები, წამოწყებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალნაყოფიერ შრომას, წინ სწევენ საერთო საქმეს.

ჩვენი დროის დიდ წამოწყებად იქცა ბრძოლა კომუნისტური შრომის კოლექტივის სახელის მოსაპოვებლად. ეს დიდი ისტორიული აზრის პატრიოტული ინიციატივა, რომელიც განსაცვიფრებელი სისწრაფით გავრცელდა მთელ ჩვენს ქვეყანაში, მკაფიოდ გვიჩვენებს, თუ რა ღრმად აქვთ შეგნებული საბჭოთა ადამიანებს პარტიის მიერ დასახული ამოცანების სიდიადე, რა მგზნებარედ ისწრაფვიან ისინი შეასრულონ ახალი გრანდიოზული გეგმები.

კომუნისტური შრომის კოლექტივის სახელის მოპოვებისათვის მებრძოლი კოლექტივები, როგორც ყველგან ჩვენს დიდ სამშობლოში, იქმნება ჩვენი რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებში, მაღტებსა და მაღაროებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სარემონტო-ტექნიკურ სადგურებში. ეს კოლექტივები კისრულობენ გაზრდილ ვალდებულებებს და პირობას დებენ, რომ იშრომებენ, ისწავლიან და იცხოვრებენ ლენინურად, კომუნისტურად.

კომუნისტური შრომის გაჩაღებისათვის შეჯიბრებაში თავს იჩენს ბევრი ახალი თაოსნობა, შესანიშნავი წამოწყება. კომუნისტური შრომა ხდება მშრომელთა ფართო ფენების, მთელი ჩვენი ხალხის საკუთრებად. კომუნისტური შრომის ბრიგადებს თავიანთ კეთილშობილურ შრომაში მხარს უჭერს, ეხმარება და გამარჯვებებისათვის აღფრთოვანებს მთელი ჩვენი საბჭოთა საზოგადოებრიობა.

გუშინ გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებმა შეიტყეს, რომ შესანიშნავი პატრიოტული თაოსნობა გამოიჩინეს ქართველმა მეცნიერებმა და სტუდენტებმა. საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივმა გადაწყვიტა „მეცნიერის საგუშაგო“ შექმნას თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატის“ კომუნისტური შრომის ბრიგადაში, რომელსაც პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტი ზაურ რუსია ხელმძღვანელობს, აიღეს ვალდებულებები და გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით წერილით მიმართეს საქართველოს მეცნიერებს, განათლების, ლიტერატურისა და ხელოვნების, კულტურის მუშაკებს. წერილში ნათქვამია:

„კომუნისტური შრომის ბრიგადების მოძრაობა მკაფიოდ მოწმობს იმას, რომ იწყება ლენინის გენიალური განჭვრეტის განხორციელების დრო — კომუნისტური შრომის ზეიმის დრო. და ასეთ დროს განუზომლად მაღლდება ჩვენი — საბჭოთა მეცნიერების, სტუდენტი-ახალგაზრდობის, კულტურის ყველა მუშაკის პასუხისმგებლობა სამშობლოს წინაშე. ჩვენი წმინდა ვალია ვიდგეთ ჩვენი ეპოქის დიად მოძრაობათა ავანგარდში, არ შემოვიფარგლოთ სტუდენტთა აუდიტორიით, ვიწრო კაბინეტებით და ლაბორატორიული საქმიანობით, მჭიდროდ დავუკავშირდეთ მასებს, მხარში ამოვუდგეთ მათ, დავეხმაროთ კეთილშობილურ ბრძოლაში გამარჯვებათა მოსაპოვებლად“.

შესანიშნავი ინიციატივის მოთავეები აფართოებენ და აღრმავებენ თავიანთ თაოსნობას. როგორც ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში მოთავსებული მასალები იტყობინებიან, საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივმა „მეცნიერის საგუშაგო“ შექმნა აგრეთვე თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანაში.

მეცნიერები უკვე შეუდგნენ ვალდებულებების შესრულებას. გუშინ თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატში“ ზაურ რუსიას კომუნისტური შრომის ბრიგადაში მეცნიერის საგუშაგოზე იმყოფებოდნენ საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი კ. ბაქანიძე და ლაბორანტი გ. აღლაძე.

კომუნისტური შრომის ბრიგადების — სოციალისტური შეჯიბრების უმაღლესი ფორმის შექმნისათვის მოძრაობას უდიდესი მომავალი აქვს, როგორც კომუნიზმის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდის, მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის შემდგომი კულტურულ-ტექნიკური აღმავლობის, შრომის ნაყოფიერების უმაღლეს მაჩვენებელთა უსწრაფესად მიღწევის მძლავრ საშუალებას. ამიტომ მხარდაჭერის და წახალისების ღირსია საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივის თაოსნობა — მხარში ამოუდგნენ კომუნისტური შრომის ბრიგადებს, სისტემატური დახმარება გაუწიონ ბრიგადის წევრებს შრომის ნაყოფიერების ამაღლებაში, მეცნიერული ცოდნისა და კულტურის მიღწევების დაუფლებაში.

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ხელშეკრულების თხუთმეტი წლისთავი

ორი მოძმე ხალხი — საბჭოთა ხალხი და ჩეხოსლოვაკიის ხალხი აღნიშნავს შესანიშნავ ისტორიულ თარიღს — სსრ კავშირსა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების მეთხუთმეტე წლისთავს. მოსკოვში ამ დღესასწაულის აღსანიშნავად კონსერვატორიის დიდ დარბაზში 11 დეკემბერს გაიმართა საზოგადოებრიობის საზეიმო კრება.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ს. დ. ორლოვმა.

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. ბ. ტარასოვმა.

დამსწრეთ სიტყვით მიმართა ჩეხოსლოვაკიის დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა სსრ კავშირში ივანე კოშეცემ.

კრებაზე გამოვიდნენ აგრეთვე ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის მოსკოვში მყოფი დელეგაციის მეთაური — ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე პროფესორი იოზეფ ლუკაში; საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე აკადემიკოსი კ. ვ. ოსტროვიტიანოვი.

კრების მონაწილეებმა მიიღეს მისასალმებელი დეპეშა ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის მიმართ. (საკდესი).

შეჯიბრება მოძმე კომუნისტური შრომის ბრიგადებს შორის

რუსთავი. (საქდესი). ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავ საამქროში შექმნილი კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ვ. მერაბიშვილი ტელეფონით დაუკავშირდა აზერბაიჯანის სუმგაიტის მილსაგლინავი ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელს ტ. გულიევს. ერთმანეთს უამბეს რა ყრილობის აღსანიშნავ შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებანი, ორი მოძმე რესპუბლიკის მილმგლინავებმა გადაწყვიტეს შეეჯიბრონ ერთმანეთს.

ვ. მერაბიშვილის ბრიგადამ გადაწყვიტა ყოველ დღეღამეში გეგმის გადამეტებით გამოუშვას 10 ტონა მაღალხარისხოვანი მილი, ყოველ ცვლაში დაზოგოს ორი ტონა ლითონი, შეამციროს ყოველი ტონა მილის თვითღირებულება 0,5 პროცენტით.

მხარი დაუჭირა რა საქართველოს მილმგლინავთა ინიციატივას, ტ. გულიევის ბრიგადამ თავის მხრივ ვალდებულება იკისრა შეასრულოს ცვლის დავალებანი სულ ცოტა 106 პროცენტით, შეამციროს წუნი 10 პროცენტით, გაადიდოს შრომის ნაყოფიერება 3 პროცენტით. ბრიგადის ყოველმა წევრმა ითვისოს მონათესავე პროფესია.

შეჯიბრების მონაწილეები პირველი დღეებიდანვე ცხადყოფენ მაღალნაყოფიერი შრომის ნიმუშს. მაგალითად, გუშინ ვ. მერაბიშვილის ბრიგადამ გეგმის გადამეტებით გამოუშვა 49 ტონა მილი. სუმგაიტიდან გადმოსცეს ცნობა, რომ ბევრად გადააჭარბა გუშინდელი დღის დავალებას ტ. გულიევის ბრიგადამაც.

ფოთის წისქვილკომბინატი — მეორე ადგილზე

სსრ კავშირის პურპროდუქტების სამინისტრომ და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს 1958 წლის მესამე კვარტალში საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისათვის ფოთის წისქვილკომბინატს მიეკუთვნა მეორე ფულადი პრემია. მესამე პრემია მიეკუთვნა ნავთლუღის სარეალიზაციო ბაზის კოლექტივს.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ ანტონინ ნოვოტნის

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ამხანაგ ვილიამ შიროკის

პრაღა

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო გულითადად მოგესალმებიან თქვენ და თქვენნი სახით ჩეხოსლოვაკიის მთელ ხალხს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების დადების 15 წლისთავის გამო.

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ხელშეკრულება დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი იყო საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ხალხთა მეგობრული ურთიერთობის განვითარებაში. განვლილმა 15 წელიწადმა დაადასტურა, რომ ეს ხელშეკრულება საიმედოდ ემსახურება ჩვენი ხალხების სასიცოცხლო ინტერესებს, დასავლეთის სახელმწიფოთა დახმარებით ახლად აღორძინებული დასავლეთ გერმანიის მილიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ინტერესებს და ხელს უწყობს ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას.

ჩვენ განსაკუთრებული კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ წლითიწლობით იზრდება და მტკიცდება საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხების ძმური მეგობრობა, ვითარდება პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობა ჩვენს ქვეყნებს შორის, რომელსაც საფუძვლად უდევს სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის მიზნების ერთობა. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგული საბჭოთა ხალხი კვლავაც განამტკიცებს საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობას ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ, ყველა ქვეყნის ხალხთა მშვიდობისა და თანამშრომლობის ინტერესებისათვის.

მოკლე ისტორიულ ვადაში ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მშრომელებმა თავიანთი ნაცადი ავანგარდის — ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ყველა სოციალისტური ქვეყნის ხალხებთან მჭიდრო ერთიანობით შესანიშნავი მიღწევები მოიპოვეს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

საბჭოთა ადამიანებს გულწრფელად ახარებთ ჩეხოსლოვაკიაში სოციალისტური მშენებლობის წარმატებანი, ისინი დიდად აფასებენ ჩეხოსლოვაკიის ხალხის წვლილს სოციალისტური ბანაკის ძლიერების განმტკიცებაში, მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და დემოკრატიის ძალების განმტკიცებაში.

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების ხელმოწერის 15 წლისთავის დღეს ვუსურვებთ ჩეხოსლოვაკიის მოძმე ხალხს ახალ გამარჯვებებს სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის XI ყრილობის მიერ დასახული დიდებული ამოცანის შესრულებაში — უმოკლეს პერიოდში დაამთავროს სოციალიზმის მშენებლობა თავის ქვეყანაში.

დაე მარად ცოცხლობდეს და ვითარდებოდეს საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხთა ურღვევი მეგობრობა!

ნ. ხრუშჩოვი,

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

კ. ვოროშილოვი,

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

მოსკოვი, კრემლი. 1958 წლის 11 დეკემბერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს

მოსკოვი

ძვირფასო ამხანაგებო!

ალბანელი ხალხის, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმის, ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით, აგრეთვე პირადად ჩვენგან გითვლით თქვენ და თქვენი მეშვეობით მოძმე საბჭოთა ხალხს, საბჭოთა კავშირის სახელოვან კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას უღრეკად გულითადი მადლობას თქვენი ძმური მოლოცვისა და სურვილებისათვის, რომლებიც გამოგვიგზავნეთ ალბანეთის განთავისუფლების მეთოთხმეტე წლისთავის გამო.

ალბანელ ხალხს, ალბანეთის შრომის პარტიას და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას ღრმად აქვთ შეგნებული, რომ ისტორიული გამარჯვება ნაცისტ-ფაშისტი ოკუპანტებისაგან სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში და წარმატებანი, რომლებიც მოპოვებულია ალბანეთში სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლაში, მჭიდროდ დაკავშირებულია ძმურ და მარადიულ მეგობრობასთან, რომელიც ალბანელ ხალხს აერთიანებს საბჭოთა კავშირის სახელოვან ხალხებთან, დაკავშირებულია ყოველმხრივ და ინტერნაციონალისტურ დახმარებასთან, რასაც უწევდა და მუდამ უწევს დიდი საბჭოთა კავშირი ჩვენს ქვეყანას.

ჩვენს ორ ქვეყანას შორის ძმური მეგობრობა, მჭიდრო ურთიერთობა და თანამშრომლობა ყველა დარგში განუხრელად ფართოვდება და მტკიცდება და წარმოადგენს მტკიცე და საიმედო საფუძველს ახალი სოციალისტური ალბანეთის შემდგომი აყვავებისათვის. ალბანეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ყოველმხრივ განმტკიცება ალბანელ ხალხს თავის წმიდა მოვალეობად მიაჩნია.

ალბანელი ხალხი, რომელსაც მომძმე საბჭოთა ხალხის ყოველი გამარჯვება მიაჩნია საკუთარ გამარჯვებად, მთელი სოციალისტური ბანაკის გამარჯვებად, ბანაკისა, რომელსაც დიდი საბჭოთა კავშირი მეთაურობს, დიდი ენთუზიაზმით შეხვდა საბჭოთა კავშირის 1959-1965 წლების დიდებული გეგმის საკონტროლო ციფრებს. სულით და გულით ვუსურვებთ საბჭოთა ხალხს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნული და ნაცადი ხელმძღვანელობით განუხრელად აღწევდეს სულ უფრო მეტ გამარჯვებას კომუნიზმის სახელოვან გზაზე და ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის კეთილშობილურ ბრძოლაში.

ჰაჯი ლეში,

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე,

ენვერ ხოჯა,

ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი,

მეჰმეტ შეჰუ,

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

ტირანა, 1958 წლის 10 დეკემბერი.

ფართოვდება მეცნიერთა თაოსნობა

ინსტიტუტი — კომუნისტური შრომის ბრიგადებს

★ ★ ★ ★

გუშინ ჩარხმშენებლებთან

„მეცნიერის საგუშაგო“ მუშაობს

კომუნისტური შრომის ბრიგადებში „მეცნიერის საგუშაგოს“ შექმნის ინიციატორები — საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივი, კერძოდ მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი ბრიგადებისა და უბნის კოლექტივებს შრომის ნაყოფიერების შემდგომ გადიდებაში, პროფესიულ დაოსტატებაში, კულტურის, ცოდნის დონის ამაღლებაში, კომუნისტური ბრიგადისა და უბნის საპატიო სახელის მოპოვებისათვის ბრძოლაში.

ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის კოლექტივმა იკისრა შექმნას ბრიგადებში და უბანზე „მეცნიერის საგუშაგო“ და ყოველმხრივ დაეხმაროს მათ შრომის ნაყოფიერების შემდგომ ამაღლებაში, იზრუნოს იმისათვის, რომ ბრიგადებში და უბანზე განხორციელდეს საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, სანიმუშოდ ორგანიზებულ იქნას შრომა. ამასთან ფაკულტეტის მეცნიერი მუშაკები დაეხმარებიან ბრიგადების და უბნის კოლექტივებს ექსპერიმენტული ნიმუშებიან და ცალკეული კვანძების გამოცდაში, რასაც მოაწყობენ როგორც ინსტიტუტის, ისე ქარხნის ლაბორატორიაში, ხელს შეუწყობენ სამარჯვების, საჭრელი იარაღების და ტექნოლოგიური პროცესების დოკუმენტაციის მუშა ნახაზების კომპლექტის შექმნაში. ფაკულტეტის ძალებით მოაწყობენ ლექციებ-საუბრებს ციკლს სამამულო ტექნიკის უახლეს მიღწევებზე; ბრიგადების და უბნის წევრებს დაეხმარებიან სწავლაში საშუალო და უმაღლესი განათლების მიღებისათვის; ფაკულტეტის მეცნიერი მუშაკები ბრიგადების და უბნის კოლექტივებთან ერთად გამოუშვებენ ბროშურებს, რომლებშიც გაშუქებული იქნება მათი საწარმოო მიღწევები და მუშაობის მოწინავე გამოცდილება.

ამასთან ერთად ფაკულტეტის კოლექტივმა გადაწყვიტა ინსტიტუტის სტუდენტთა ძალებით სასწავლო სახელოსნოში დაამუშაოს უნივერსალურ ჩარხ „163-ის“ 300-მდე დეტალი.

ქარხანაში დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ მეცნიერთა შესანიშნავ თაოსნობას და მტკიცედ გადაწყვიტეს ყოველმხრივ განამტკიცონ მეგობრობა მეცნიერებთან, სტუდენტ - ახალგაზრდობასთან.

თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატის“ კომუნისტური შრომის ზაურ რუსიას ბრიგადაში უკვე მუშაობს „მეცნიერის საგუშაგო“. გუშინ საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საწარმოთა ელექტროფიკაციის კათედრის დოცენტმა კ. ბაქანიძემ და კათედრის ლაბორანტმა გ. აღლაძემ ბრიგადაში მოაწყეს საუბარი სსრ კავშირში, კერძოდ საქართველოში ელექტრომრეწველობის შემდგომი განვითარების საკითხებზე, რომლებიც მოცემულია ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში.

ეს საუბარი მჭიდროდ იყო დაკავშირებული იმ ამოცანებთან, რომლებიც ამჟამად დასახულია ქარხნის კოლექტივის წინაშე.

„მეცნიერის საგუშაგოს“ წარმომადგენლები გაეცნენ ქარხნის საამქროთა საქმიანობას, ესაუბრნენ საწარმოს ხელმძღვანელობას, იმსჯელეს „მეცნიერის საგუშაგოს“ მუშაობის უკეთ მოწყობაზე.

საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლები თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანაში. **სურათზე** (მარჯვნიდან): გ. ანდრონიკაშვილი — ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, დოცენტი გ. ჩიხლაძე — მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანი, ნ. კიზივაძე — ქარხნის დირექტორი, მ. ცირიულნიკი — № 16 საამქროს პირველი უბნის ოსტატი ზ. გველუკაშვილი, გ. ნოზაძე — ბრიგადირები, მ. წეროძე — მთავარი ინჟინერი, კ. მაისურაძე — ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

კომუნისტური შრომის ბრიგადების მეკრება ჯყიბულში

ვიშრომოთ, ვისწავლოთ, ვიცხოვროთ კომუნისტურად, ლენინურად! — აი რა არის ტყიბულის შახტებში, კოლმეურნეობებში შექმნილი კომუნისტური შრომის ბრიგადების ლოზუნგი მომავალი შვიდწლედის განხორციელებისათვის ბრძოლაში. პირველი შედეგები მკაფიოდ მოწმობს ამ პატრიოტული მოძრაობის უდიდეს ცხოველმყოფელობაზე — შახტებიდან მიდის გეგმის ზევით ამოღებული ქვანახშირით დატვირთული ეშელონები, დაჩქარდა ახალი შახტის „კომკავშირულის“ და სამთო ჰორიზონტების, საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, იზრდება საკოლმეურნეო დოვლათი.

გუშინ, 12 დეკემბერს, ტყიბულში შეიკრიბნენ მეშახტეები, კოლმეურნეები — კომუნისტური შრომის ბრიგადების სახელისათვის შეჯიბრების გაჩაღების ინიციატორები.

— კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის დიდებული პროგრამა, რომელიც მოცემულია პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში,— ამბობს ლენინის სახელობის შახტის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი შ. კუბლაშვილი, — ახალი სასახელო საქმეებისათვის აღგვაფრთოვანებს. ახლა ცვლაში ბრიგადის თვითეულ წევრზე ნორმის გადამეტებით 3-3,5 ტონა ქვანახშირს ვიღებთ.

შეკრების მონაწილეებში დიდი სიხარული და აღფრთოვანება გამოიწვია ცნობამ იმის შესახებ, რომ სტალინის სახელობის შახტის კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც ა. ბაკურაძე ხელმძღვანელობს, ცვლაში ბრიგადის თვითეულ წევრზე ნორმის გადამეტებით 10 ტონა ქვანახშირს იღებს.

ტრიბუნაზეა ნოვატორი მეშახტე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ი. ორჯონიკიძე. ჩვენს ქვეყანაში, — თქვა მან, — შრომის, სწავლის, ცხოვრების შესანიშნავი პირობებია. მაშ ვისწავლოთ, ახალგაზრდებო, რომ მეტი სარგებლობა მოვუტანოთ სამშობლოს, ხალხს!

შეკრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ პარტიის ტყიბულის რაიკომის პირველი მდივანი კ. ლომაძე, ლენინის სახელობის შახტის უფროსი ბ. ჯალალანია, უბნის უფროსი ა. ცირეკიძე, პარტბიუროს მდივანი ტ. გაბრიჩიძე, დაბა ძველის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. გვინეტაძე, მეჩაიე თ. გეწაძე.

კომუნისტური შრომის ბრიგადების შეკრების მონაწილეებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს უფრო ბეჯითად იშრომონ, ისწავლონ, ამრავლონ სახალხო საქმეები კომუნისტურ შრომაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის შესახვედრად

წინასაყრილობო განხილვა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებისა „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრები“

★ ★ ★

ახალი შვიდწლედი, ახალი პერსპექტივები

კასპის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე

კასპის რაიონის პარტიული კონფერენციის ყურადღების ცენტრში იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებების პრაქტიკულად განხორციელების საკითხები.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებმა — „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრები“ მშრომელთა დიდი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობა გამოიწვია. რაიონის საწარმოებმა 11 თვის გეგმა 105,5 პროცენტით შეასრულეს. წელს შარშანდელთან შედარებით კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მნიშვნელოვნად გაადიდეს მარცვლეულის, ხილის, ყურძნის, ბოსტნეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. დოესის კოლმეურნეობამ 185 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე 35 ცენტნერი სიმინდი მიიღო ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 19 ცენტნერისა.

კონფერენციაზე ითქვა, რომ რაიონში ხილის, ყურძნისა და ბოსტნეულის წარმოების გადიდების ყველა შესაძლებლობაა. ამასთან მეურნეობის ეს დარგები ბევრ კოლმეურნეობაში ფულადი შემოსავლის ძირითადი წყაროა. წელს ყურძნის მოსავლიანობა წინა წლებთან შედარებით თითქმის ერთიორად გაიზარდა. სოფლების ქვემო ჭალის, კასპის, საკორინთოს, ხვითის, სამთავისის, დოესის და სხვა კოლმეურნეობებმა ხილისა და ყურძნის კარგი მოსავალი მოიყვანეს.

სოფელ ქვემო ჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომმა ა. ბუდაღაშვილმა კონფერენციის მონაწილეებს უამბო იმის შესახებ, თუ როგორ აღწევენ ქვემოჭალელი კოლმეურნეები ნაკლები შრომისა და ფულადი სახსრების დახარჯვით ყურძნისა და ხილის მოსავლიანობის გადიდებას.

— წელს კოლმეურნეობაში, — თქვა მან, — საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 73,3 ცენტნერი ყურძენი და 82 ცენტნერი ხილი. ეს შარშანდელთან შედარებით გაცილებით მეტია და წლევანდელ გეგმას მნიშვნელოვნად აღემატება. თუ შარშან ერთი ცენტნერი ყურძნის მიღებაზე 8,28 შრომადღე დაიხარჯა, წელს დახარჯულია მხოლოდ 4,2 შრომადღე. ასევე გასულ წელთან შედარებით 0,63 შრომადღით ნაკლები დაჯდა ცენტნერი ხილის მოყვანა. ეს მიღწეულ იქნა შრომის სწორი ორგანიზაციით და ბაღ-ვენახებში მექანიზაციის დონის ამაღლებით. მარტო მევენახეობიდან ერთი მილიონი მანეთი შემოსავალი მივიღეთ.

მაგრამ, როგორც გამოირკვა, კოლმეურნეობათა ერთი ნაწილი სრულიად ვერ იყენებს ხილის, ყურძნისა და ბოსტნეულის წარმოების გადიდების არსებულ რეზერვებსა და შესაძლებლობებს, რის გამო დაბალ მოსავალს იღებს. კონფერენციაზე გაკრიტიკებულ იქნენ სოფლების თელადგორის, ნოსტეს, ნიგოზას, ლამისყანის, კავთისხევის, ქვემო ხანდაკის კოლმეურნეობათა გამგეობები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები ყურძნის დაბალი მოსავლიანობისათვის.

შვიდწლედში გათვალისწინებულია მნიშვნელოვნად გადიდდეს ხილის, ყურძნისა და ბოსტნეულის წარმოება. ამ საქმეში დიდი წვლილი უნდა შეიტანონ კასპის რაიონის მშრომელებმა. მარტო ქვემო ჭალის, სამთავისის, იგოეთის, ხვითისა და ლამისყანის კოლმეურნეობები ახალ ბაღებს გააშენებენ 1.200 ჰექტარზე. მომავალ წელს კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს უნდა მიჰყიდონ 5 ათასი ტონა ბოსტნეული ნაცვლად წელს მიყიდული 1.500 ტონისა.

რაიონში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების დონე არადამაკმაყოფილებელია. კვლავ ცოტა პროდუქტებია წარმოებული 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე. ეს იმით აიხსნება, რომ ცალკეულ კოლმეურნეობათა გამგეობები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ მეურნეობის ამ დარგს. ცუდად უვლიან და კვებავენ პირუტყვს სოფელ ზემო ხანდაკის კოლმეურნეობაში, სადაც ათ თვეში თვითეულ ძროხაზე საშუალოდ მოწველილია მხოლოდ 700 ლიტრი რძე, ხოლო ყოველ 100 ძროხაზე მიღებულია 50 ხბო. ამასთან შემცირებულია ძროხების სულადობა. ასევე ითქმის ჩობალაურის, ქვემო ხანდაკის, ლამისყანის და სხვა კოლმეურნეობებზე. ჩამორჩენილ დარგად რჩება მეფრინველეობა.

ახალი დიდი ამოცანები, რომლებიც რაიონის მშრომელების წინაშე დგას, მოითხოვს ავამაღლოთ პარტიული მუშაობის დონე, საქმის ცოდნით ვუხელმძღვანელოთ მეურნეობას. ამაზე ილაპარაკეს სოფელ მეტეხის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანმა ტ. ოდოშაშვილმა და სოფელ ხოვლეს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ზ. ლელაშვილმა.

— ჩვენს კოლმეურნეობაში, — თქვა ამხ. ლელაშვილმა, — სუსტად არის დაყენებული პოლიტიკური აგიტაცია. ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ პარტიულ ორგანიზაციას საკმაოდ არ ეხმარება პარტიის რაიკომი.

სოფლების ქვემო ხანდაკის, ზენადრისის, კავთისხევის კოლმეურნეობები ვერ ასრულებენ საოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის გეგმებს, ხოლო პარტიის რაიკომი გადამჭრელ ღონისძიებებს არ ახორციელებს ჩამორჩენილი დარგების წამოწევისათვის, სუსტად ნერგავს წარმოებაში მოწინავეთა გამოცდილებას.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების გამგემ ამხ. ი. რთველაშვილმა.

* * *

გაიმართა ახლადარჩეული რაიონული კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა პარტიის კასპის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. გ. კეჩხუაშვილი, მეორე მდივნად — ამხ. დ. მაღალაშვილი, მდივნად — ამხ. ი. მუხიგულაშვილი.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.



თბილისის კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის მოწინავე ზეინკლები (მარცხნიდან) ი. ხაგინაშვილი, გ. პირადოვი და ნ. სოლოვიოვი პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგანან და ყოველდღიურ დავალებებს 250-300 პროცენტით ასრულებენ.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მშრომელთა წინადადებები

საამქროს მექანიზაცია

ჩვენს ქარხანაში როგორც სიჩქარეთა კოლოფის, ისე ასაწყობ-მექანიკური კორპუსის და დანარჩენ საამქროთა გამართულ მუშაობას ხელს უშლის ის, რომ სამსხმელო და სამჭედლო საამქროებიდან დასამუშავებელი დეტალების შემოზიდვა ავტომანქანებით წარმოებს, ხოლო დეტალების დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციები ხელით ტარდება. საჭირო იქნება დეტალების მოწოდება მომავალში კონვეიერით განხორციელდეს. ასევე მექანიზებულად უნდა მოიწყოს ჩარხიდან ჩარხზე დეტალების გადატანა.

ი. ხაზარაძე,
ს. ორჯონიკიძის სახელობის ქუთაისის საავტომობილო ქარხნის სიჩქარეთა კოლოფის საამქროს ამწყობი.

გავაერთიანოთ სტამბები

უყურადღებოდ არის მიტოვებული ის სტამბები, რომლებიც კულტურის სამინისტროსთან არსებული გამომცემლობებისა და პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარ სამმართველოს განკარგულებაში არ შედის. არავინ იცის, ვის უნდა ემორჩილებოდნენ ისინი.

ჩვენი აზრით საქმისათვის მეტად სასარგებლო იქნება საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი ყველა სტამბის, დიდი იქნებოდა ის თუ პატარა, გაერთიანება გამომცემლობებისა და პოლიგრაფიული მრეწველობის სამმართველოში.

აფხაზეთისა და აჭარის ახს რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მყოფი სტამბები სასურველი იქნებოდა შესაბამისად გაერთიანებულიყვნენ საოლქო და რესპუბლიკურ სტამბებთან.

მ. ჭოგუა,
ოჩამჩირის რაიონის სტამბის დირექტორი.

წარმოებასთან ახლოს

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალი, რომელიც ამზადებს მეშახტე სპეციალისტთა კადრებს წარმოებისაგან მოუწყვეტლივ, იმყოფება არა ტყიბულში, სადაც რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის გულია, არამედ ქალაქ ქუთაისში. ამიტომ ამ ფილიალში ძირითადად ცოდნას იღებენ არა ისინი, ვინც უშუალოდ სანგრევში, მიწის ქვეშ მუშაობს, არამედ ქუთაისის საწარმოდაწესებულებების ისეთი მუშაკები, რომლებსაც შახტი არასოდეს არ უნახავთ.

გაუმართლებლად მიგვაჩნია აგრეთვე ქალაქ ქუთაისში სამთო ტექნიკუმის არსებობა. აქ მოსწავლეები სამთო მეცნიერებას ეუფლებიან მარტო წიგნებით, მაკეტებით, ნახაზებით.

ჩვენი წინადადებაა პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალი და სამთო ტექნიკუმი ქუთაისიდან გადმოტანილ იქნას ტყიბულში, წარმოებასთან ახლოს.

შ. შარვაძე,
ს. უგულავა,
სტალინის სახელობის შახტის მეშახტეები.

ორი ტრესტი საჭიროა?

ახლა დიდი ყურადღება ექცევა სამართველო-ადმინისტრაციული აპარატის გამარტივებას და მათი ქმედითობის შემდგომ ამაღლებას. სწორედ ამ დროს თბილისში გაჩნდა ორი ორგანიზაცია, რომელთა არსებობას ერთდროულად არც ამჟამად და არც მომავალში არავითარი გამართლება არ ეტყობა. გვგულისხმობთ ორ ტრესტს — „თბილგაზს“ და „თბილგაზმშენს“.

ამჟამად „თბილგაზმშენს“ გარკვეული ფუნქციები აქვს. მან უნდა დაამონტაჟოს გაზსადენები და საექსპლოატაციოდ გადასცეს გაზის მეურნეობა. საკითხავია: არის თუ არა საჭირო „თბილგაზი“, როცა მისი მოვალეობის შესრულება შეიძლება დავაკისროთ „თბილგაზმშენს“?

ჩვენი აზრით „თბილგაზმშენში“ შეიძლება ვიქონიოთ ორი განყოფილება: მშენებლობისა და ექსპლოატაციისა. იმ დროისათვის, როცა გაზმშენებლობის საკითხები უკვე ძირითადად მოგვარებული იქნება, შეიძლება „თბილგაზმშენი“ გადავაქციოთ უბრალოდ „თბილგაზად“. ამით ათეული და ასეული ათასი მანეთის ეკონომიას მივიღებთ.

ინჟინერი
ი. მელია.

გაზეთების ფურცლებზე

საბჭოთა აფხაზეთი

აგრონომი ნ. თოლორაია საოლქო გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთში“ გამოქვეყნებულ წერილში აღნიშნავს, რომ საჭიროა სოფლის მეურნეობაში ფართოდ დაინერგოს აგრონომიული მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკოსთა გამოცდილება.

წერილის ავტორის აზრით, კარგი იქნება, თუ **სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დაინერგება ორგანულ-მინერალური სასუქების გამოყენება თხიერი სახით**, რაც სასუქების შეტანის მექანიზაციისა და ფართობის ერთეულზე შესატანი სასუქების მნიშვნელოვნად შემცირების საშუალებას მოგვცემს.

ნინსვლა

სამტრედიის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის მოწინავე მუშები თ. ფრანგიშვილი, შ. კუჭუხიძე, ო. პიმურზინა, ნ. შენგელია რაიონულ გაზეთ „წინსვლაში“ წერენ: **ჩვენ მიერ ამოხვეული ხამი აბრეშუმის ძაფი დახაგრეხად მიაქვთ წულუკიძის აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხ ფაბრიკაში. ზედმეტი ტრანსპორტირება კი ადიდებს პროდუქციის თვითღირებულებას. ამის გამო ვაუწყებთ საკითხს ჩვენს ფაბრიკაში მოეწყოს ხამი აბრეშუმის ძაფის საგრეხი საამქრო.**

გამოხმაურება გვაქვს

საელჭავლო და საორთქლმავლო დეპოების გაერთიანების შემდეგ დეპოში ორთქლმავლების მობრუნება ისევ ძველი ბაზის გამოყენებით წარმოებს, რაც მუშაობაში ხელს გვიშლის, — წერს რაიონულ გაზეთში **„გამარჯვების გზით“** ხაშურის სალოკომოტივო დეპოს პარტიული კომიტეტის მდივანი გ. ნოზაძე. ის წინადადებას აყენებს, რომ **სალოკომოტივო დეპოში აშენდეს ორთქლმავლების მოსაბრუნებელი ახალი პუნქტი.**

წერილის ავტორს მიზანშეწონილად მიაჩნია **სურამის უღელტეხილის მთელ უბანზე მსუბუქი ტიპის რელსები შეიცვალოს მძიმე ტიპის რელსებით.**

სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის შესრულების გზებზე

საუბრები დიადი გეგმის შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობაზე „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების“ შესახებ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში ნათქვამია: „სსრ კავშირის უპირატესობა წარმოების ზრდის ტემპის მხრივ შექმნის იმის რეალურ საფუძველს, რომ დაახლოებით ხუთი წლის განმავლობაში 1965 წლის შემდეგ დავეწიოთ და გადავაჭარბოთ ამერიკის შეერთებული შტატების ერთ სულ მოსახლეზე წარმოების დონეს. ამრიგად, ამ დროისათვის, ან შესაძლოა უფრო ადრეც საბჭოთა კავშირი პირველ ადგილზე გამოვა მსოფლიოში როგორც წარმოების აბსოლუტური მოცულობით, ისე ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოებით, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ყველაზე მაღალ ცხოვრების დონეს მსოფლიოში. ეს იქნება სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება კაპიტალიზმთან მშვიდობიან შეჯიბრებაში“.

საკონტროლო ციფრები დიდად მატებენ შემოქმედებით ძალებს საბჭოთა ადამიანებს. მშვენიერი შრეული მომავლიდან კომუნიზმი ხილული, ცოცხალი, რეალური სინამდვილე ხდება. კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სსრ კავშირში უახლოეს 15 წელიწადში შეიქმნება.

როგორც ცნობილია, ჩვენს ქვეყანაში იმ გრანდიოზულ სოციალურ-ეკონომიურ გარდაქმნათა საბოლოო მიზანი და განმსაზღვრელი მოტივი, რომლებიც დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დაიწყო, კომუნისტური საზოგადოების აშენებაა. ამ ამოცანას რომ სახავდა, ვ. ი. ლენინმას აკავშირებდა იმის აუცილებლობასთან, რომ დავეწიოთ და გავუსწროთ ეკონომიურად ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს.

კომუნიზმის მშენებლობის გეგმების შემუშავებისას ვ. ი. ლენინი იმას ეყრდნობოდა, რომ სოციალისტურმა რევოლუციამ პირველად გაიმარჯვა ჩამორჩენილ, გლეხურ ქვეყანაში, რომელსაც კაპიტალიზმის განვითარების საშუალო დონე ჰქონდა. იგი არაერთხელ აღნიშნავდა, რომ ისტორიულად ჩამოყალიბებული პირობების შედეგად ისეთ ქვეყნებს, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი და გერმანია არიან, საწარმოო ძალების გაცილებით უფრო მაღალი დონე ჰქონდათ, ვიდრე რევოლუციის წლებში შობილ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას. 1928 წელს, როცა საბჭოთა კავშირი სახალხო მეურნეობის ძირეულ რეკონსტრუქციას შეუდგა და პირველი ხუთწლიანი გეგმის განხორციელება დაიწყო, იგი დაახლოებით 50-100 წლით ჩამორჩებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებს და დასავლეთ ევროპის ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებს.

ეყრდნობოდა რა ვ. ი. ლენინის შრომებს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის შესახებ და შემოქმედებითად იყენებდა რა მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, კომუნისტურმა პარტიამ დასახა ამოცანა — ავიყვანოთ სოციალისტური ეკონომიკა იმ დონეზე უფრო მაღლა, რომლისთვისაც ოდესმე მიეღწევია და რომლის მიღწევაც შეუძლია კაპიტალიზმის ეკონომიკას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებში ეს ამოცანა კონკრეტიზებულ იქნა როგორც სსრ კავშირის ძირითადი, მთავარი ეკონომიური ამოცანა. პარტიის ყრილობამ აღნიშნა იმის საჭიროება, რომ „მთელი სიმტკიცით გაგრძელდეს ბრძოლა მშვიდობიანი ეკონომიური შეჯიბრების გზით ისტორიულად უმოკლეს ვადაში საბჭოთა კავშირის მთავარი ეკონომიური ამოცანის გადაჭრისათვის, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობებზე დაყრდნობით, დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ გასული დროის მანძილზე საბჭოთა სახელმწიფომ მნიშვნელოვნად წაიწია წინ ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადაჭრაში. 1958 წელს თუჯის გამოდნობა სსრ კავშირში 55 მილიონამდე ტონას მიაღწევს, ხოლო ნავთობის მოპოვება — 113 მილიონ ტონას. ეს იმას ნიშნავს, რომ ამჟამად ერთ თვეში ვადნობთ მეტ ფოლადს და ვიღებთ მეტ ნავთობს, ვიდრე მთელ 1913 წელს. ელექტროენერგიის გამომუშავება სსრ კავშირში 1958 წელს 233 მილიარდ კილოვატ-საათს აღწევს. განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება მანქანათსამშენებლო მრეწველობა — სახალხო მეურნეობის ინდუსტრიული განვითარებისა და ტექნიკური პროგრესის საფუძველი. ამ და ბევრი სხვა მიღწევის შედეგად საბჭოთა კავშირმა მიაღწია საწარმოო ძალების განვითარების ისეთ დონეს, რომელიც საშუალებას გვაძლევს გადავიდეთ ახალი გრანდიოზული ამოცანების გადაწყვეტაზე.

თანამედროვე პირობებში, როცა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა განვითარების ახალ ეტაპზე იმყოფება, კომუნისტურმა პარტიამ თავის XX ყრილობაზე წამოაყენა პერსპექტიული გეგმის უფრო ხანგრძლივი ვადით შემუშავების ამოცანა. ამ გეგმის მთავარი მიმართულებები და ამოცანები ჩამოყალიბებული იყო ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1957 წლის 6 ნოემბრის საიუბილეო სესიაზე. პერსპექტიული გეგმით, რომელიც გაანგარიშებულია 15 წლისათვის, სსრ კავშირის მრეწველობის გადამწყვეტი დარგები თავიანთი პროდუქციის გამოშვებას 2-3-ჯერ და უფრო მეტად გაადიდებენ. სოფლის მეურნეობის დარგში გათვალისწინებულია შემდგომი მძლავრი აღმავლობა ყველა მისი დარგისა, რომლებიც უზრუნველყოფენ პროდუქტების სიუხვეს და საბჭოთა ადამიანების სასიცოცხლო მოთხოვნილებათა სრულად დაკმაყოფილებას.

სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობის ეკონომიური პროგრამის — პერსპექტიული 15-წლიანი გეგმის შემადგენელი ნაწილია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების შვიდწლიანი გეგმა. შვიდწლიანი გეგმის შესრულების შედეგად შესრულებული იქნება 15 წლისათვის გათვალისწინებული პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი.

სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრები, რომლებიც განსახილველად წარედგინება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობას, ასახავენ სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის შესრულებისათვის საბჭოთა ადამიანების ბრძოლის ახალ ეტაპს. შვიდწლედის დამლევისათვის საბჭოთა კავშირი ერთ სულ მოსახლეზე გამოუშვებს მეტ სამრეწველო პროდუქციას, ვიდრე ამჟამად აწარმოებენ მას დასავლეთ ევროპის ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში — ინგლისში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, — და პირველ ადგილზე გამოვა ევროპაში. 1965 წელს საბჭოთა კავშირი ზოგიერთ უმთავრეს სახეობათა პროდუქციის აბსოლუტური წარმოებით გადააჭარბებს, ხოლო სხვა სახეობათა წარმოებით მიუახლოვდება ამერიკის შეერთებული შტატების სამრეწველო წარმოების თანამედროვე დონეს. შვიდწლიანი გეგმის შესრულების შედეგად სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოება მთლიანად სსრ კავშირში და ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით გადააჭარბებს ამერიკის შეერთებული შტატების თანამედროვე დონეს.

ვსახავთ რა სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის შესრულების გზებს, მეთოდებსა და ვადებს, საჭიროა მხედველობაში მივიღოთ, ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების რა ეკონომიური რესურსები და შესაძლებლობები მოეპოვებათ ამერიკის შეერთებულ შტატებს და დასავლეთ ევროპის ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებს და რის იმედი შეიძლება ჰქონდეთ მომავალში. სსრ კავშირის მთავარი ეკონომიური ამოცანის შესრულების ვადები დამოკიდებულია სამ ფაქტორზე: სსრ კავშირში და ინდუსტრიულად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში წარმოების დონეთა ამოსავალ თანაფარდობაზე, ეკონომიური განვითარების ტემპებში განსხვავებაზე, შეჯიბრების მონაწილე ქვეყნებში მოსახლეობის დინამიკაზე. ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ სამრეწველო წარმოების მოცულობა სსრ კავშირში ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების დონის ნახევარზე ცოტა მეტს შეადგენს, მოსახლეობის ზრდის ტემპები კი ამ ქვეყნებში დაახლოებით ერთი და იგივეა, ცხადი გახდება, რომ სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის შესრულების ვადები დამოკიდებულია უწინარეს ყოვლისა ჩვენს უპირატესობაზე ეკონომიური განვითარების ტემპებში.

შემთხვევითი როდია, რომ საკითხი კაპიტალიზმის ქვეყნებისა და სოციალიზმის ქვეყნების ინდუსტრიული განვითარების შედარებითი ტემპების და განსაკუთრებით სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპების შესახებ მუდამ დგას როგორც სოციალიზმის მეგობრების, ისე მისი მტრების ყურადღების ცენტრში.

ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ შანძილი, რომელიც სსრ კავშირს მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს აშორებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ, მცირდება წინგამსწრები ტემპების შედეგად. სსრ კავშირის ეკონომიკა ვითარდებოდა და ვითარდება უფრო სწრაფი ტემპებით, ვიდრე კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკა. 10-12 წლის განმავლობაში ჩვენმა ქვეყანამ დაძლია საუკუნეობრივი ჩამორჩენა, მოახდინა ნახტომი ჩამორჩენილობიდან პროგრესისაკენ და გადაიქცა მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ, რომელსაც უნარი შესწევს დაიცვას თავისი დიადი მონაპოვარი, თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

თუ უკანასკნელ ხუთ წელიწადში მრეწველობის პროდუქციის წარმოება სსრ კავშირში 70 პროცენტით გაიზარდა, სამრეწველო პროდუქციის საშუალო-წლიური მატება შეადგენდა 11.2 პროცენტს, ამერიკის შეერთებულ შტატებში სამრეწველო წარმოება პირველ სამ წელიწადში (1954-1956) 7 პროცენტით გადიდდა და ამ დონეზე გაიყინა, ხოლო 1957 წლის სექტემბერში ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიწყო წარმოების ძლიერი შემცირება, და ამჟამად სამრეწველო პროდუქციის გამოშვება მხოლოდ 2 პროცენტით აღემატება 1953 წლის დონეს. ამერიკელმა სენატორმა ჯეკსონმა განაცხადა, რომ „უკანასკნელ წელს ფაქტიურად ჩვენი ეკონომიკა სრულებით არ ვითარდებოდა, არსებითად იგი უკან მიდიოდა“. ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოქვეყნდა მოხსენება — „საბჭოთა კავშირის ეკონომიური ზრდა შეერთებულ შტატებთან შედარებით“. ამ მოხსენების ავტორებიც კი, რომლებზეც ძნელია ეჭვის მიტანა, რომ ისინი სიმპათიით ეკიდებოდნენ კომუნიზმს, იძულებული არიან აღიარონ, რომ საბჭოთა მრეწველობა „ვითარდებოდა უფრო სწრაფი ტემპებით, ვიდრე ამერიკის მრეწველობა თავისი განვითარების ანალოგიურ სტადიებში“, და რომ ამჟამად

ქვითა და ჩუქურთმით დაწერილი „ქართლის ცხოვრების“ დასაცავად

★ ★ ★

საერთო-სახალხო საქმე

„კულტურის ძეგლთა დაცვის“ საქართველოს საზოგადოების დაარსება დიდი მოვლენა იქნება ჩვენს ცხოვრებაში, რადგან წარსულის მატერიალური კულტურის ძეგლების მოწესრიგება, დაცვა, მათი შესწავლა საერთო-სახალხო საქმეს წარმოადგენს. ცხაკაიას რაიონი, ისევე როგორც ჩვენი რესპუბლიკის სხვა რაიონები, მდიდარია წარსულის ეშვიათი ძეგლებით, როგორიც არის ნოქალაქევის ქალაქ-ციხის დიდი კომპლექსები, შხეფის ციხე-კოშკი და სხვ. მაგრამ მათგან მაინც უპირველესია ნოქალაქევი.

ნოქალაქევის დიდი კომპლექსები რაიონის მშრომელთა ყურადღების საგანია. ქვიტკირის გალავანს აქვს მემორიალური დაფა. ეკლესიის ძველი შენობა გადახურულია იმავე ტიპის ახალი კრამიტით, როგორითაც წინათ იყო გადახურული. მომცრო სამრეკლო, რომელიც უფრო ძველია, ვიდრე ეკლესიის შენობა, გასუფთავებული და მოწესრიგებულია. გადაწყვეტილია წუსრიგზე მოვიყვანოთ ეზო, დავრგოთ შიგ ხეები. ამ საქმეში უკვე აქტიურად მუშაობენ ნოქალაქევის საშუალო სკოლისა და კოლმეურნეობების ახალგაზრდები.

პარტიის ცხაკაიას რაიონულმა კომიტეტმა შექმნა კულტურის ძეგლთა დაცვის კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე დ. ბაღათურია. გადაღებულია პირველი ნაბიჯები.

აპ. განგია,
საქართველოს ალკკ ცხაკაიას რაიკომის მდივანი.

არც ერთი ძეგლი უყურადღებოდ!

„კულტურის ძეგლთა დაცვის“ საზოგადოებრივი ორგანიზაციის დაარსება მეტად სასახელო და საჭირო საქმედ მიმაჩნია.

ჩემი მხრით მინდა ასეთი ფაქტი დავასახელო, რომელიც მოითხოვს რესტავრატორთა ყურადღებას.

მცხეთის ტაძარში, როგორც ცნობილია, მოთავსებულია ერეკლე მეორისა და გიორგი მეთორმეტის საფლავები. მნახველებს მძიმე შთაბეჭდილება ექმნებათ ამ საფლავების ხილვით. უბრალო სარკოფაგებზე დაკრულია სპილენძის დაფები, რომლებზეც ამოკაწრულია წარწერა. ეს წარწერები გვაუწყებენ, რომ ძეგლი გაუკეთებია მთავარმართებელ ბატონიშვილ ალექსანდრე I სახელით. საჭიროა საფლავების უკეთ გაფორმება და ქართული წარწერის გაკეთება, რათა მნახველებს შეეძლოთ ეპიტაფიების წაკითხვა — მით უმეტეს, რომ ერეკლე მეორეს და გიორგი მეთორმეტეს დიდი დაკავშირება მიუძღვით რუსეთთან საქართველოს შეერთების პროგრესულ საქმეში.

ქვეყნის ისტორიის შესწავლისათვის მატერიალური კულტურის ძეგლებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ საქართველოში შემონახული არც ერთი ისტორიული ძეგლი არ უნდა დარჩეს უყურადღებოდ.

პროფესორი ს. მაკალათია.

იკარგება უნიკალური საუნჯენი

ჯავახეთის ისტორიული ადგილების, ძეგლების მოვლისა და შესწავლის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს გაზეთ „კომუნისტის“ მიმდინარე წლის 26 ოქტომბრის ნომერში ავტორთა ჯგუფის მიერ გამოქვეყნებულ წერილს „ქვითა და ჩუქურთმით დაწერილი „ქართლის ცხოვრების“ დასაცავად“.

უძველესი ისტორიული კუთხის ჯავახეთის მშრომელები და მოწინავე ინტელიგენცია დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ იმ ამბავს, რომ საქართველოში არსდება „კულტურის ძეგლთა დაცვის“ საზოგადოებრივი ორგანიზაცია.

უაღრესად მდიდარი და საინტერესოა ჯავახეთის ტოპონიმიკა. ათასგვარ ავბედობას გადარჩენილი უამრავი ისტორიული ძეგლი შემორჩა საქართველოს ამ უძველეს კუთხეს. მარტო ჩვენს რაიონში ასამდე ისტორიული ღირსშესანიშნავი ადგილი და ძეგლია. სამწუხაროდ, ძალიან ცოტა ვიცით ამ ძეგლებისა და ადგილების შესახებ.

სამწუხაროდ, ადგილობრივი ძალები, საზოგადოებრიობა ნაკლებად არიან ჩაბმული ძეგლების დაცვის საქმეში. ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება არ ექცევა ჩვენს რაიონში კულტურის ძეგლების დაცვას. რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებაში ამ ძეგლების სიაც კი არ არსებობს. კულტურის ისეთი შედევრი, როგორიც კუმურდოა, უყურადღებოდ არის მიტოვებული. წინაპრების შეუდარებელი ოსტატობით ნაშენ კუმურდოს ეკლესია ახლა საწყობად არის გადაქცეული. ამ ძეგლის მემორიალური დაფა სადღაც გაქრა. შეუძლებელი ხდება ამოკითხვა კირისაგან გადაშლილი წარწერისა, რომელიც ძეგლის აგების თარიღს გვაუწყებდა. ადგილი აქვს ზოგიერთი ისტორიული ნაგებობის დანგრევას და მისი მასალების დატაცებას. ამ რამდენიმე წლის წინათ დაანგრიეს და დაიტაცეს ახალქალაქის ციხის ნაწილი და სოფელ ორჯის ტერიტორიაზე არსებული უძველესი მონასტერი.

პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციები ნაკლებ ახსნა-განმარტებითს მუშაობას ეწევიან მოსახლეობაში მატერიალური კულტურის ძეგლების უდიდეს სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაზე. ყოველივე ამის შედეგია ის, რომ უკვალოდ იკარგება შემთხვევითი გათხრების შედეგად აღმოჩენილი მრავალი უძველესი ნივთი. მაგალითად, სოფელ მერენიაში კოლმეურნეები ამას წინათ ადგილობრივი გათხრების დროს წააწყდნენ აკლდამას, სადაც ცხედარი ქვის კუბოში პირდაღმა იყო ჩასვენებული. აქვე აღმოჩნდა ცხედრის სახის ნაკვთებისათვის გამოკვეთილი ნიღაბი და ძველი წიგნი. მერენიელი კოლმეურნეები გაოცებული ლაპარაკობენ ცხედრის გოლიათურ აღნაგობაზე. სამწუხაროდ, ყოველივე აღმოჩენილი უყურადღებობის გამო დაიმტვრა და განადგურდა. მსგავს შემთხვევებს ჰქონდა ადგილი სოფელ იხტილაშიც. აქ რამდენიმე წლის წინათ გათხრების დროს კოლმეურნეები წააწყდნენ მშვენიერ უძველეს ნაგებობას, რომლის თლილი ქვები ამავე სოფლის მასწავლებელმა დილანიანმა მიითვისა და საკუთარი ბინის აშენებისას გამოიყენა. დილანიანი ამისთვის არავის არ დაუსჯია.

ამავე იხტილაში შარშან ნიადაგის ჩანგრევის შედეგად აღმოჩნდა ქვის დარბაზი, აქვეა ქვის კარი და ორი მოჩუქურთმებული სვეტი ადამიანის სახეების გამოსახულებით. როგორც ირკვევა, ეს ძეგლი მე-8, მე-9 საუკუნის ნაგებობა უნდა იყოს. არც კოლმეურნეობის გამგეობას, არც ბარალეთის სასოფლო საბჭოს და არც კულტურის განყოფილებას არ უზრუნიათ ამ ძეგლის გამომზეურებისათვის, რომელიც აღმოჩენის მეორე დღესვე მიწაში დაიმარხა.

მშრომელები თხოულობენ ჩვენს რაიონში მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფილიალის მოწყობას. ჩვენი აზრით, ეს მოთხოვნა ყურადღების ღირსია.

კულტურის ძეგლთა დაცვა რაიონის მთელი საზოგადოებრიობის საპატიო საქმედ უნდა გახდეს.

ნ. ალელიშვილი,
ახალქალაქის რაიონული გაზეთის „ოქტომბრის დროშით“ რედაქტორი.

გრემი. XVI საუკუნის ციხე-სიმაგრე (სოფელ ენისელთან).

ფოტო რ. კოკობაშვილისა.

ამგვები ადგილებიდან

სოფლის კეთილმოწყობა

უკანასკნელ წლებში გალამაზდა და კეთილმოწყობილი გახდა ჩოხატაურის რაიონის სოფელი იანეული. დამთავრდა რაიონთან დამაკავშირებელი გზების კეთილმოწყობა, სოფლის რადიოფიკაცია, გამოყვანილია სასმელი წყალი. სოფლის ცენტრს ამშვენებს კოლმეურნეობის კანტორის ლამაზი შენობა. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს 7-წლიანი სკოლის კაპიტალური შენობის, აგრეთვე საკოლმეურნეო აბანოს მშენებლობა. (საკ. კორ.).

უგამყიდველო მაღაზია

დაბა აბაშაში სამომხმარებლო კოოპერაციამ გახსნა წიგნების ახალი მაღაზია, რომელშიც ვაჭრობა უგამყიდველოდ წარმოებს. მაღაზიას აქვს მხატვრული, სპორტული, სასოფლო-სამეურნეო, პოლიტიკური, სასწავლო-პედაგოგიური ხასიათის ლიტერატურის, ხელისმოწერით გამოცემების და სასკოლო-საკანცელარიო განყოფილებები. მაღაზიას ემსახურება მხოლოდ ერთი კაცი — მოლარე. წიგნები განყოფილებების მიხედვით ისეა განლაგებული, რომ მომხმარებელი თავისუფლად აირჩევს მისთვის სასურველ წიგნს.

(საკ. კორ.).

მუშათა კოოპერატივში

კარგი მაჩვენებლები აქვთ ლაითურის მუშათა კოოპერატივის მუშაკებს. პირველ დეკემბრამდე საქონელბრუნვის დაგეგმა შესრულებულია 108,1 პროცენტით. მომხმარებელს მიეყიდეს 11.247.700 მანეთის სხვადასხვა ასორტიმენტის საქონელი. უკანასკნელ ათ თვეში მიღებული ზეგეგმითი მოგება 56,600 მანეთს სჭარბობს. ამ დღეებში გაიხსნა კომკავშირული მომსახურების ახალი მაღაზია. საუკეთესო მუშაობით მომხმარებელთა პატივისცემა დაიმსახურეს მუშათა კოოპერატივის მოწინავე ადამიანებმა ნ. კვაშალმა, კ. ახვლედიანმა, ა. თოიძემ, ლ. მარგალიტაძემ და სხვებმა.

(საკ. კორ.).

ლიტერატურა და ხელოვნება

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

რაბინდრანატ თაგორი ქართულად

რაბინდრანატ თაგორი ისეთ მწერალთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებსაც დიდი საკაცობრიო მნიშვნელობა აქვთ. თაგორმა უდიდესი როლი შეასრულა თანამედროვე ინდოეთის კულტურის აღორძინებაში. მისი ლირიკული ლექსების კრებულის — „გიტანჯალის“ პირველი ინგლისური გამოცემის წინასიტყვაობაში ცნობილი ინგლისელი პოეტი უ. ი. იტსი სამართლიანად შვნიშნავს, რომ „თაგორის სახელთან ინდური კულტურის რენესანსია დაკავშირებული“.

საბჭოთა ქვეყნის დიდი მეგობარი — რაბინდრანატ თაგორი ფართო საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა კოლონიალიზმის არტახებიდან თავისი ქვეყნის განთავისუფლებისათვის. მაგრამ თაგორის დიდ მნიშვნელობას მსოფლიო კულტურისათვის განსაზღვრავს არა მარტო მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა, არამედ მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომელშიც თავისებური ხედვით იქნა გამომზეურებული ინდოელი ხალხის ცხოვრება.

მსოფლიო ლიტერატურული საზოგადოებრიობის ინტერესი თაგორის შემოქმედებისადმი განსაკუთრებით გაიზარდა 1913 წლიდან, როდესაც გამოქვეყნდა „გიტანჯალის“ ინგლისური თარგმანი. „გიტანჯალი“ გამოქვეყნებისთანავე თითქმის ყველა კულტურული ქვეყნის ენაზე თარგმნა. ამ პერიოდს ეკუთვნის თაგორის რამდენიმე ლირიკული ნაწარმოების პირველი ქართული თარგმანებიც.

ბენგალია ანუ „გაური“, როგორც უწოდებენ თავიანთ სამშობლოს ბენგალელები, წარმოადგენს „გიტანჯალის“ სურათოვან ფონს. თავისი სამშობლოს უკეთესი მომავლის მძაფრი სურვილით არის გამსჭვალული „გიტანჯალის“ ცნობილი 35-ე სიმღერა; (თარგმნილი 27-ე).

თაგორის პატრიოტიზმი არ იზღუდებოდა ინდოეთის და, მით უმეტეს, ბენგალიის ფარგლებით. იგი საერთოდ ადამიანის და მთელი კაცობრიობის სიყვარულში გადადის: „ჩემთვის პატრიოტიზმი ადამიანურობას ერწყმის... რაც უფრო ნაკლებ გიყვარს ადამიანი, მით უფრო ნაკლებად ხარ პატრიოტი“, — წერდა იგი.

თაგორის პოეტური პიროვნება და მისი თავისებურება განსაკუთრებით პოეზიაში მჟღავნდება. ლირიკა მისი შემოქმედების სტიქიაა.

თაგორის ლექსებს ხალხურობა ახასიათებს. ეს უმთავრესად პოეტის მხატვრული მეტყველების ფორმით ვლინდება. მიუხედავად მრავალი მათგანის სიმბოლური შინაარსისა, თაგორის ლექსების როგორც დედანი, ისე ინგლისური ავტორისეული თარგმანი ძირითადად ცოცხალი, ხალხური სალაპარაკო ენის არსენალით სარგებლობს. მისი პოეტური სინტაქსის დასაყრდენიც ხალხის მეტყველებაა. თაგორის პოეტური ფორმის ეს თვისება სწორად აქვს გაგებული ქართველ მთარგმნელს, იგი ქართული კლასიკური ლექსის პოეტური ფორმის სამყაროდან არჩევს თაგორის პოეზიის ფორმისა და შინაარსის შესატყვის პოეტურ სამოსელს.

თამაზ ჩხენკელის თარგმანები ქართული ლექსის პოეტური ფორმით არის გაჟღერებული.

„მე აქ ვარ, შენთვის სიმღერები
რომ ვიგალობო,
შენი დარბაზის კუთხეში ვარ
დაყუდებული,
შენს სამყაროში სხვა არა მაქვს მე
საზრუნავი“...

ეს რიტმი ცნობილია ქართველი მკითხველისათვის. ამ რიტმით არის დაწერილი გრ. ორბელიანის ლექსი, „ცნობილი ელეგია, „ჩემს დას ეფემიას“, ილია ჭავჭავაძის „აჩრდილისა“ საუკეთესო ადგილები, ი. მაჩაბლის ცნობილი თარგმანები. ეს ფორმის ღირსებასთან ერთად ზუსტად გადმოგცემს თაგორის პოეზიის შინაარსის სიღრმეს და ყოველი ტაეპის ზუსტ ქართულ შესატყვისს.

სამწუხაროდ, „გიტანჯალი“ არ არის მთლიანად თარგმნილი და რაც თარგმნილია ყველა თანაბარი სიძლიერით როდია შესრულებული. მაგალითად, „გიტანჯალის“ ცნობილი 35-ე საგალობელი ქართულ თარგმანში შედარებით სუსტია. მიუხედავად ლექსის აზრობრივი მომენტის სწორად გადმოცემისა, მთარგმნელის მისწრაფებამ ფორმის ლაკონიურობისაკენ კი არ გაზარდა ორიგინალის ექსპრესია, არამედ, პირიქით, უფრო შეანელა და მდორე გახადა იგი. თაგორისავე ინგლისურად შესრულებულ პროზაულ თარგმანში დასახელებული საგალობელი დაახლოებით ნ. ბარათაშვილის „მერანის“ მსგავსი ექსპრესიით იკითხება... გვხვდება სხვა ხასიათის მცირედი არასიზუსტეებიც. მაგალითად, „გიტანჯალის“ V გალობის დასაწყისში, ინგლისური ორიგინალის მიხედვით გამოხატულია მეუფის გვერდით ჩამოჯდომის სურვილი და არა...—„შენს უბეში შემასვენო მცირედი ჟამით“. შეიძლება არ ღირდა ამ ერთ სიტყვაზე შეჩერება, მაგრამ ყურადღებას ვამახვილებთ იმის გამო, რომ ასეთ გამოთქმას დისონანსი შეაქვს თაგორის გალობათა საერთო ჰარმონიაში...

„მე შევეხები შენს ფერხთ,
სადამდეც ვერასოდეს ვერ
ავმაღლდები“;

წერს პოეტი და ხაიკვოა ასეთი პოეზიის მქონე გმირმა თავის მეუფეს მსგავსი სურვილი შებედოს. ასეთი გამოთქმა ეწინააღმდეგება თაგორის ლირიკული გმირის ფსიქოლოგიას, და საერთოდ, მთელი ნაწარმოების დედააზრს, რასაც სხვა შემთხვევაში მთარგმნელი ასე ფაქიზად იცავს.

ეს მომენტი ვერ ანელებს ინტერესს საერთოდ გემოვნებით შესრულებული თარგმანისადმი. ქართული ენის შემოქმედებით ათვისების მეშვეობით თარგმანში მიღწეულია განწყობილებათა იმ ნიუანსების გადმოცემა, რომლებიც „გიტანჯალის“ გალობათა თემის ყველაზე სრულყოფილ გაგებას ეძლევა.

გიორგი ბაჩიჩილაძე.

ირაკლი აბაშიძის შემოქმედებითი საღამო

ამასწინათ ილია ჭავჭავაძის სახელობის კლუბში შედგა მკითხველთა შეხვედრა პოეტ ირაკლი აბაშიძესთან. საღამო გახსნა კრიტიკოსმა გიორგი ციცოშვილმა. მოხსენებები ი. აბაშიძის შემოქმედების შესახებ წაიკითხეს ექიმებმა ო. ღოღობერიძემ და ს. მგელაძემ.

ირ. აბაშიძის ლექსები წაიკითხეს პოეტებმა რ. მარგიანმა და ხ. ბერულავამ, მკითხველებმა ბ. იაშვილმა და ვ. შონიამ. თავიანთი ლექსები წაიკითხეს ა. ხაიაურმა, ექიმებმა ს. მგელაძემ, ლ. გორდაძემ, დ. ბუჯიაშვილმა და ნ. მესხიშვილმა.

მხცოვანმა ექიმმა ანდრო მკურნალმა წაიკითხა ირ. აბაშიძის ლექსიც საკუთარი თარგმანი რუსულ ენაზე.

პოეტს მოესალმნენ საბავშვო ბაღის ნორჩი მკითხველები: მანანა ღალინიძე, ნიკო ელიზბარაშვილი, ნანა ჩინჩალაძე და ვლ. შონია.

დასასრულ პოეტმა ირ. აბაშიძემ წაიკითხა თავისი ახალი ლექსები.

წიგნები ხელისმომწერლებს

ვ. ჯავახიშვილის თხზულებათა პირველი ტომი

„საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა გამოჩენილი ქართველი ბელეტრისტის მიხეილ ჯავახიშვილის ექვსტომეულის პირველი ტომი.

თხზულებათა პირველ ტომში შესულია: „ჩანჩურა“, „კურკას ქორწილი“, „ტყის კაცი“, „ლამბალო და ყაშა“, „ოქროს ცბილი„, „მესამე“, „მდევარი“, „პაპა დიმო“, „ორი ვანაჩენი“ და სხვა მოთხრობები.



რჩეულ თხზულებათა რედაქტორები არიან ირ. აბაშიძე, ს. ჭილაია და გ. ნატროშვილი.

სათავგადასავლო ბიბლიოთეკა

საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა და ხელისმომწერლებს ურიგდებათ სათავგადასავლო ბიბლიოთეკის პირველი ტომი.

ტომში დაბეჭდილია ჯონათან სვიფტის — „თავდაპირველად ქირურგისა და შემდეგ რამდენიმე ხომალდის კაპიტნის ლემუელ გულივერის მოგზაურობა სხვადასხვა შორეულ ქვეყანაში“ ოთხივე ნაწილი.

ნაწარმოები ინგლისურიდან თარგმნა მოსე ქარჩავამ. წიგნის რედაქტორია ე. მაღრაძე. ილუსტრაციები ეკუთვნის ეან გრანვილს.

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის შესახვედრად თეატრი ამზადებს ახალგაზრდა ქართველი დრამატურგის მირიან აბულაძის პიესას — „როცა ვარსკვლავი ინთება“. პიესაში ასახულია ჩვენი თანამედროვეობა, საბჭოთა ადამიანების — მოწინავე ახალგაზრდა მუშების ცხოვრება.

სპექტაკლს დგამს რესპუბლიკის სახალხო არტისტი ა. ჩხარტიშვილი, მხატვარია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ფ. ლაპიაშვილი, მუსიკას სპექტაკლისთვის წერს კომპოზიტორი ა. ჩიმაკაძე.

სპექტაკლში მონაწილეობას მიიღებენ თეატრის ახალგაზრდა და წამყვანი ძალები.

ლაღად შრიალებდეს ქართული ტყე

★ ★ ★ ★

ლაგოდეხელ მეტყევეებთან

ძვირფასი ხის ჯიშების ნერგები

თვალწარმტაცია ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალი, რომელსაც 13.000 ჰექტარი ფართობი უჭირავს. აქ იზრდება თელა, რცხილა, წიფელი, წაბლი, კაკალი, ნეკერჩხალი და სხვ. ნაკრძალი განთქმულია აგრეთვე თავისი ფაუნით. ტყეებში უხვად ბინადრობს გარეული ღორი, შველი, დათვი, უფრო ზევით ალპურ ზონაში — ფსიტი, ჯიხვი, ირემი და სხვ.

რაიონში ბუნებრივი ტყეების დაცვასთან ერთად მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება გამეჩხერებული ტყეების აღდგენისა და გაკაფული ფართობების გატყევებისათვის. მარტო ჭიაურის სატყეო უბანში 1949 წლიდან 1958 წლამდე გაშენდა 412 ჰექტარი ტყე. 25 ჰექტარზე გაშენებულია კაკლის ხეები. სატყეო მეურნეობის ხაზით წლითიწლობით ფართოვდება ტყის აღდგენითი სამუშაოები. შარშან 54 ჰექტარზე გაშენდა კაკლის, ევკომიის და აკაციის ტყე.

ჩვენს რესპუბლიკაში მევენახეობის განვითარებასთან დაკავშირებით წელს აქ გეგმის გადამეტებით 100 ჰექტარზე გაშენდება აკაცია, რისთვისაც შესრულებულია დარგვის წინა სამუშაოები, დაბლანტაებულია 70 ჰექტარი. ტყის ბუნებრივი განახლების ხელშემწყობი ღონისძიებანი ბაისუბნის სატყეო მეურნეობაში 100 ჰექტარზეა განხორციელებული. გათვალისწინებულია 50 ჰექტარი მეჩხერი კორომების შევსება შეთესვით, დაწყებულია გზისპირების გამწვანება. ადგილობრივი ჯიშების გარდა აქ შემოიტანეს ისეთ უცხო მცენარეთა ნერგები, როგორიც არის ბამბუკი, ევკომია და კორპის მუხა. სატყეო მეურნეობის უხუცესი მუშაკები ივანე მაისურაძე და გიგო ბეგიაშვილი თვალსაჩინოებით იცავენ ამ ტყეებს.

რაიონის სატყეო მეურნეობის კოლექტივს ტყეების დაცვისა და გაშენების საქმეში დიდ დახმარებას უწევენ რაიონის მშრომელები.

ბრ. ხიდეშელი,
ლაგოდეხის რაიონული გაზეთის რედაქტორის მოადგილე.

ბუნებრივი ძეგლები

...

...

...

...

ს ა ზ ღ ვ ა რ გ ა რ ე თ

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ურღვევი ძმობის დემონსტრაცია

რანდოლფ ჩერჩილი ამხილებს ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის ავანტიურას

დასავლეთ გერმანიის რევანშისტები არ ცხრებიან

საზეიმო სხდომა პრაღაში

პრაღა, 12 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, 11 დეკემბერს პრაღის კრემლში გაიმართა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის საზეიმო სხდომა ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების ხელმოწერის მე-15 წლისთავის აღსანიშნავად. პრეზიდიუმში ადგილები დაიკავეს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიისა და რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელებმა. სხდომას დაესწრნენ აგრეთვე საბჭოთა ელჩი პრაღაში ი. ტ. გრიშინი და დელეგაციის წევრები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სხდომაში. სხდომას დაესწრო უნგრეთის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია.

სხდომაზე საზეიმო სიტყვა წარმოთქვა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ანტონინ ნოვოტნიმ.

ა. ნოვოტნიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ხალხების ურთიერთ მეგობრობა და ძმობა წარმოადგენს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის უდიდეს ძალას და ორივე ქვეყნის უაღრესად მჭიდრო საბრძოლო სოლიდარობას სოციალიზმისა და კომუნიზმის დიადი მიზნების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ჩვენ, განაცხადა მომხსენებელმა, მადლობით გვახსოვს, რომ ყველა ჩვენი წარმატება და გამარჯვება წარმოშობა საბჭოთა კავშირის უანგარო ძმური დახმარებიდან. ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის ნაყოფიერი თანამშრომლობიდან, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ჩვენმა 1943 წლის 12 დეკემბრის სამოკავშირეო ხელშეკრულებამ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირთან.

შემდეგ ა. ნოვოტნიმ დახატა გზა ჩეხოსლოვაკიის ხალხის ბრძოლისა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ეროვნული თავისუფლებისა და ახალი ჩეხოსლოვაკიისათვის.

ა. ნოვოტნიმ დიდი ყურადღება დაუთმო საბჭოთა კავშირის მიღწევებს.

საბჭოთა შვიდწლედის მიზნების გაბედულება და სიდიადე იმის ახალ დადასტურებას იძლევა, რომ არც ერთ საზოგადოებრივ წყობილებას არ დაუწყია თავისი ერა კაცობრიობის ისტორიაში ასეთი ოპტიმისტური ცხოველუნარიანობით და დაუშრეტელი ენთუზიაზმით, როგორც სოციალიზმმა და კომუნიზმმა.

შეეხო რა სოციალისტური ბანაკის მზარდ ძალასა და ძლიერებას, მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა: ყოველი კომუნისტური პარტიის წმიდა მოვალეობაა, რასაც სიამაყით კისრულობს ჩვენი პარტიაც, მთელი ძალებით შეუწყოს ხელი სოციალისტური ბანაკის იდეოლოგიური და პოლიტიკური ერთიანობის განმტკიცებას.

შეეხო რა საბჭოთა მთავრობის წინადადებებს ბერლინის საკითხზე, მომხსენებელმა განაცხადა:

მშვიდობიანი შეთანხმება, რომელსაც საბჭოთა კავშირი გვთავაზობს, ემყარება მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების თანმიმდევრულ განხორციელებას მის პოლიტიკაში გერმანიის მიმართ. ამ პოლიტიკას უთუოდ უჭერს მხარს ჩვენი რესპუბლიკა და მთელი ჩვენი ხალხი.

საბჭოთა წინადადებანი ფუშავენ „ცივი ომის“ სტრატეგების აგრესიულ გეგმებს და შეესაბამებიან ევროპის ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებს. ჩვენ მტკიცედ ვიდგებით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხარეზე და სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყანასთან ერთად სავსებით დავუჭერთ მხარს მის სუვერენულ უფლებებს.

დასასრულ ა. ნოვოტნიმ თქვა:

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის კეთილშობილური პრინციპები კაშკაშა ჩირაღდანივით გვნათებენ ჩვენს ბრძოლას სოციალიზმის მშენებლობის დამთავრების ამოცანების შესრულებისათვის, რომლებსაც ჩვენ პირნათლად შევასრულებთ. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ეროგულება ჩვენი განუხრელი ხაზია მძლავრი სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის მშენებლობისათვის ურღვევი სოციალისტური ბანაკის ჩარჩოებში, რომელსაც საბჭოთა კავშირი მეთაურობს.

შემდეგ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ირჟი გენდრიხმა წაიკითხა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის მისასალმებელი წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი. შეკრებილებმა მქუხარე ტაშით მოიწონეს ეს წერილი.

საზეიმო სხდომა დამთავრდა „ინტერნაციონალის“ სიმღერით.

რ ა ნ დ ო ლ ფ ჩ ე რ ჩ ი ლ ი

ინგლის - საფრანგეთ - ისრაელის ავანტიურის შესახებ ეგვიპტის წინააღმდეგ

ლონდონი, 11 დეკემბერი. (**საკდესის კორ. ნ. ტურკატენკო**). კონსერვატიული გაზეთი „დეილი ექსპრესი“ კვირანახევრის განმავლობაში ბეჭდავდა ცნობილი ჟურნალისტის რანდოლფ ჩერჩილის სტატიების სერიას, რომლებიც მიეძღვნა ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის ავად მოსაგონარ შეიარაღებულ ინტერვენციას ეგვიპტის წინააღმდეგ სუეცის არხის ხელში ჩასაგდებად.

ამ სტატიებმა დიდი რეზონანსი გამოიწვიეს ინგლისში, რამდენადაც რანდოლფ ჩერჩილი — ყოფილი პრემიერ-მინისტრის ჩერჩილის ვაჟი, რომელიც შედის „უმაღლეს წრეებში“, — მეტად ინფორმირებულ ჟურნალისტად მიაჩნიათ. ყველაზე დიდი ხმაური გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ესოდენ ინფორმირებულმა ჟურნალისტმა პირდაპირ აღიარა, რომ იყო გულმოდგინედ მომზადებული შეთანხმება ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის მთავრობებს შორის ეგვიპტეზე თავდასხმის პროვოცირების შესახებ (რაც, მართალია, უკვე დიდი ხანია „ფოლშინელის ხალიუმლოგებაა“).

აღნიშნავს რა იმას, რომ ომი ეგვიპტის წინააღმდეგ 1956 წლის 29 ოქტომბერს დაიწყო, ჩერჩილს მოჰყავს შემდეგი ფაქტები: როგორც კი ეგვიპტემ 1956 წლის ზაფხულში მოახდინა სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაცია, ინგლისის მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა იდენმა კონტაქტი დაამყარა საფრანგეთის გი მოლეს მთავრობასთან. მაგრამ რამდენადაც ინგლისის შეიარაღებული ძალები არ იყვნენ მზად საომარი მოქმედებისათვის, „მთავრობას ისღა დარჩენოდა, რომ დაეწყო ხანგრძლივი დიპლომატიური მოლაპარაკება“. 16 ოქტომბერს პრემიერ-მინისტრი ანტონი იდენი და საგარეო საქმეთა მინისტრი სელვინ ლლოიდი, განაგრძობს ავტორი, გაემგზავრნენ პარიზს, სადაც მათ უაღრესად საიდუმლო თათბირი ჰქონდათ მაშინდელ პრემიერ გი მოლესა და საგარეო საქმეთა მინისტრ პინოსთან.

„ამასობაში, — წერს რ. ჩერჩილი, — ყველა იმ სამხედრო მზადების გარდა, რასაც აწარმოებდნენ ინგლისი და საფრანგეთი ერთად, საფრანგეთის მთავრობა უკვე დებდა თავის საკუთარ გრიგებას ისრაელთან. ზემოაღნიშნულ პარიზის თათბირამდე თითქმის ერთი თვით ადრე საფრანგეთის თავდაცვის სამინისტროს ორი წარმომადგენელი ისრაელს გაემგზავრა, რათა ისრაელის მთავრობისათვის შეეთავაზებინა დახმარება ეგვიპტეზე თავდასხმაში...

ავტორს მოჰყავს იმ პირთა სია, რომელნიც უშუალო პასუხისმგებელი არიან ინგლისში სუეცის ინტერვენციისათვის: პრემიერ-მინისტრი იდენი, საგარეო საქმეთა მინისტრი სელვინ ლლოიდი (რომელსაც ეს პოსტი ახლაც უკავია), ბეჭდის მცველი ლორდი (ახლა შინაგან საქმეთა მინისტრი), ბატლერი, მაშინდელი ფინანსთა მინისტრი, ამჟამად კი პრემიერ-მინისტრი მაკმილანი, მაშინდელი ლორდი საბჭოს თავმჯდომარე სოლსბერი, სამხედრო მინიტრი, ხოლო შემდეგ თავდაცვის მინისტრი ა. ჰედი

დამახასიათებელია, რომ დღემდე რანდოლფ ჩერჩილის სტატიებში მოყვანილი არც ერთი ფაქტი ოფიციალურად არ არის უარყოფილი.

„ეს იწვევს შეშფოთებასა და შიშს“

დელი, 11 დეკემბერი. (საკდესი). დღეს გაზეთი „ბომბეი ქრონიკლი“, კომენტარს უკეთებს რა მოწინავე სტატიაში დასავლეთის სახელმწიფოთა გამოხმაურებას ბერლინის საკითხზე საბჭოთა წინადადებების გამო, წერს:

„დასავლეთის ვერც ერთმა სახელმწიფომ ვერ გასცა ამომწურავი პასუხი კითხვაზე: რას აგეთებენ დასავლეთის ჯარები დასავლეთ ბერლინში?“ აღნიშნავს რა დასავლეთის სახელმწიფოთა პასუხისმგებლობას დაძაბულობის შექმნისათვის გერმანიაზე, გაზეთი, კერძოდ, წერს: კაპიტულირებული გერმანიის (დასავლეთ გერმანიის. — რედ.) შეყვანა ნატოში; დასავლეთ გერმანიის ხელახალი შეიარაღება, მიუხედავად ყველა საქვეყნო აღთქმისა, რომელიც მოკავშირეებმა დაღეს; მილიტარიზმის აღორძინება ადენაუერის გერმანიაში და ნაციისტების დაბრუნება — ყოველივე ეს იწვევს შეშფოთებასა და შიშს.

„შავი სიები“ დასავლეთ ბერლინში

ბერლინი, 11 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ადნის სააგენტო იუწყება, დასავლეთ ბერლინის შინაგან საქმეთა სენატორის ლიფშიცის მითითებით დასავლეთ ბერლინში შეადგინეს პროგრესულად განწყობილი ყველა მცხოვრების „შავი სიები“.

იმ პირებს, რომლებიც აღნიშნულ „შავ სიებში“ არიან შეტანილი მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ ისინი პროგრესული ორგანიზაციების წევრები არიან, მოუსპობენ სოციალურ დახმარებას. დასავლეთ ბერლინის ხელისუფალნი ამგვარი მეთოდებით ცდილობენ ჩაანუმონ ანტიფაშისტები და ყველა პროგრესულად განწყობილი ადამიანი.

დასავლეთ გერმანიის მშვიდობისათვის მებრძოლთა კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა

★ ★

ბონი, 11 დეკემბერი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის მშვიდობისათვის მებრძოლთა მოძრაობის ორგანომ ყოველკვირეულმა გაზეთმა „ვოჰენ-ციტუნგმა“ თავის უკანასკნელ ნომერში გამოაქვეყნა კომუნიკე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მშვიდობისათვის მებრძოლთა კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომის შესახებ, რომელიც ამას წინათ გაიმართა მაინის ფრანკფურტში.

როგორც აღნიშნულია კომუნიკეში, სხდომის მონაწილეთა ყურადღების ცენტრში იყო „გერმანიის საკითხი ბერლინის გარშემო მოვლენათა უკანასკნელი განვითარების გათვალისწინებით“.

ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა ვ. ელფესმა.

„თავის მოხსენებაში, — ნათქვამია კომუნიკეში, — ვ. ელფესმა განაცხადა, რომ ბერლინის პრობლემის გადაჭრა ნიშნავს გააკეთო ცდა გადაჭრა გერმანიის პრობლემა. გერმანიის პრობლემის გადაჭრა ნიშნავს ევროპის პრობლემის გადაჭრას. ბერლინი შეიძლება გახდეს პირველი ეტაპი, რომელიც ნიშნავს მთელი ბერლინის დემილიტარიზაციას. ამრიგად, ბერლინი შეიძლება გახდეს მაგალითი ერთგვარი ნდობის, თანაარსებობის დამყარების საქმეში და გერმანიის ერთიანობის აღდგენის დაწყების საქმეში“.

ელფესმა მხარი დაუჭირა გერმანიის ნეიტრალიზაციას, ამასთან, თუ განხორციელდება პოლონეთის მთავრობის წინადადება ცენტრალურ ევროპაში ატომური იარაღისაგან თავისუფალი ზონის შექმნის შესახებ.

კომუნიკე იუწყება, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მშვიდობისათვის მებრძოლთა კომიტეტის პლენუმის სხდომამ აირჩია კომიტეტის სამდივნო 9 კაცის შემადგენლობით.

საფრანგეთის კომპარტიის ც. კ-ის პლენუმი

პარიზი, 11 დეკემბერი. (საკდესი). დღეს პარიზის გარეუბან დრანსში გაიხსნა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმის დღის წესრიგშია — „პოლიტიკური მდგომარეობა პარლამენტის არჩევნების შემდეგ და პარტიის ამოცანები“. მოხსენება ამ საკითხზე გააკეთა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ეტიენ ფაჟონმა.

ექსპერტთა თათბირი

ჟენევა, 11 დეკემბერი. (საკდესი). დღეს პოლონეთის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით გაიმართა უეცარი თავდასხმის თავიდან აცილების ღონისძიებათა საკითხზე ექსპერტთა თათბირის მორიგი სხდომა. განცხადებები გააკეთეს სსრ კავშირის, რუმინეთის, აშშ-ის შეერთებული შტატებისა და კანადის წარმომადგენლებმა.

საფრთხე ექმნება კელნის მოსახლეობას

ბერლინი, 11 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ადნის სააგენტო იუწყება, ქალაქ კელნის რაიონში უახლოეს ხანში დასავლეთ გერმანიის თავდაცვის მინისტრის ბრძანებით უნდა დაიწყოს ატომური ყუმბარებისა და საბრძოლო რაკეტების ატომური ჭურვების დიდი საწყობის მშენებლობა.

საწყობისათვის, რომლის ტერიტორია დაიკავებს 40 ჰექტარს, უკვე ჩამოართვეს მოსახლეობას მიწის ნაკვეთები.

კელნის ასეულ ათასობით მცხოვრები სერიოზულად შეშფოთებულია იმის გამო, რომ ქალაქი ამ უდიდესი ატომური საწყობის მეზობლად მდებარეობს.

ფინეთის მთავრობის შექმნა დაევალა კლეემოლს

ჰელსინკი, 11 დეკემბერი. (საკდესი). ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა უ. კ. კეკონენმა დღეს აგრარული კავშირის საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარეს კ. კლეემოლს დაავალა მთავრობის შექმნა. კლეემოლმა მიიღო დავალება.

ყ ო ვ ე ლ ი მ ხ რ ი დ ა ნ

◆ 11 დეკემბერს გაიმართა შვეიცარიის პარლამენტის ორივე პალატის გაერთიანებული სხდომა, რომელმაც პოლშოდე აირჩია შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტად 1959 წლისათვის. შვეიცარიის ვიცე-პრეზიდენტად ამავე ვადით არჩეულია ჯუზეპე ლეპორი.

◆ ქალაქ ჰალეში (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) 9 დეკემბერს გაიმართა შეჯვედრა ფეხბურთში სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდს, რომელიც სტუმრად არის გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, და გერმანიის საზოგადოება „ჰემის“ (ჰალე) გუნდს შორის. შეჯვედრა დამთავრდა საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით ანგარიშით 3 : 0.

◆ 9 დეკემბერს კამბოჯაში სსრ კავშირის საელჩოში კინოფილმი „წუნარი დონი“ უჩვენეს კმეერის მწერლებს, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია. დამსწრეები გულთბილად გამოეხმაურნენ საბჭოთა კინემატოგრაფიის ამ ნაწარმოებს.

◆ უკანასკნელ ხანს პრესაში სულ უფრო ხშირად იბეჭდება ცნობები ამერიკის სამხედრო თვითმფრინავების კატასტროფის შესახებ, რომლებიც ლიბიის ტერიტორიაზე დაფრინავენ. იუწყებიან, რომ 8 დეკემბერს დაიღუპა კიდევ ერთი რეაქტიული თვითმფრინავი, რომელიც აფრინდა ამერიკის ბაზიდან უილუს ფილდში, ტრიპოლის მახლობლად. ჩამოვარდნის დროს თვითმფრინავი დაეჯახა საცხოვრებელ სახლებს, რის შედეგად დაიღუპა 8 წლის გოგონა. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ეს საავიაციო კატასტროფის მეშვიდე შემთხვევაა უკანასკნელ თვეებში.

◆ იაპონიაში დამთავრდა ქვანახშირის კომპანიის „უბე კოსანის“ ექვსი ათასი მეშახტის გაფიცვა. მეწარმეები იძულებულნი იყვნენ დაეკმაყოფილებინათ მუშათა მოთხოვნა ხელფასის გადიდების შესახებ.

ერ ო ვ ნ ე ბ ა

აკადემიკოსი დ. პ. გედევანიშვილი

ქართულმა საბჭოთა აგრონომიულმა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა. ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, 74 წლის ასაკში, გარდაიცვალა გამოჩენილი აგრონომი-ნიადაგმცოდნე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი დიმიტრი პანტელეიმონის-ძე გედევანიშვილი.

დ. გედევანიშვილი 50 წლის განმავლობაში ეწეოდა დაუღალავ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას.

დ. პ. გედევანიშვილი ნოვო-ალექსანდრიის სასოფლო-სამეურნეო და სატყეო ინსტიტუტში სტუდენტობის პერიოდში 1910-1912 წლებში პროფესორ კ. დ. გლინკას ხელმძღვანელობით იწყებს რუსეთის აზიური ნაწილის ნიადაგების გამოკვლევას, შემდეგ კი შავი ზღვის სანაპიროს ნიადაგების გამოკვლევის საფუძველზე აქვეყნებს შრომას „შავზეთიმერხევის ნიადაგები“.

ის განსაკუთრებით აქტიურად მონაწილეობს ჩვენი რესპუბლიკის ბუნებრივი ძალების შესწავლაში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროიდან. მისი უშუალო ხელმძღვანელობით არის შესრულებული საქართველოს თითქმის ყველა ირიგაციული ობიექტის ნიადაგების გამოკვლევა, რაც საფუძვლად დაედო საირიგაციო პროექტების დამუშავებას.

დ. პ. გედევანიშვილი იყო საქართველოში უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლების ერთ-ერთი ფუძემდებელი და ქართველ ნიადაგმცოდნეთა მთელი პლეადის აღმზრდელი.

მას დიდი ამაგი აქვს გაწეული ჩვენი რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო, კერძოდ ჩაის, ვაზის, ციტრუსების და სხვა კულტურების ნიადაგური საფუძვლების შექმნის საქმეში. ამ დარგში მის საუკეთესო ნაშრომებს წარმოადგენს „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სუბტროპიკული რაიონების ნიადაგები და მათი საწარმოო დახასიათება“, „საქართველოს სიმინდის კულტურის რაიონების ნიადაგები“ და სხვ.

დ. პ. გედევანიშვილმა ქართველ ნიადაგმცოდნეთა შორის პირველმა შეადგინა საქართველოს ნიადაგების რუკა (1930 წ.), აგრეთვე, სხვებთან ერთად, ამიერკავკასიის ნიადაგების რუკა (1934 წ.). დიდი მნიშვნელობა აქვს მის მიერ შედგენილ საქართველოს ნიადაგურ-ლანდშაფტური ზონების რუკას. დ. პ. გედევანიშვილი 40-ზე მეტი შრომის ავტორი და ნიადაგმცოდნეობის ფუნდამენტალური სახელმძღვანელოს თანაავტორია. იგი 1919 წლიდან სიკვდილამდე ხელმძღვანელობდა ნიადაგმცოდნეობის კათედრას. ის იყო გულისხმიერი, ახალგაზრდობის მოყვარული, კარგი პედაგოგი, მას მრავალი ათასი აგრონომი ჰყავს აღზრდილი. მისი ხელმძღვანელობით მრავალმა მეცნიერმა დაამუშავა და დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები.

დ. გედევანიშვილი პედაგოგიურ-სამეცნიერო მოღვაწეობას კარგად ათავსებდა საზოგადოებრივ მუშაობასთან, ფართო მონაწილეობას იღებდა ჩვენი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ცხოვრებაში, — მოსავლიანობის ზრდის ღონისძიებათა სისტემის დამუშავებაში. იგი მრავალი წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორი ორდენით და მედლებით.

დ. პ. გედევანიშვილის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მისი ამხანაგებისა და მოწაფეების გულში.

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატი

ხარკოვი. 12 დეკემბერი. (ტელეფონით). სსრ კავშირის ქალთა XX საჭადრაკო პირველობის დასკვნითი ახპარეზობა დასასრულს უახლოვდება.

გუშინ გაიმართა მე-14 ტური. პირველობის გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი ლ. ვოლპერტი ამ დღეს შეხვდა ახალგაზრდა ნიჭიერ მოჭადრაკეს ა. კუშნირს. ეს უკანასკნელი მე-14 ტურამდე დაუმარცხებლად მივიდა. ლ. ვოლპერტმა შეხვედრა მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარა და ჩემპიონატის ცხრილში კიდევ 1 ქულა ჩაიწერა.

მაყურებელთა ყურადღების ცენტრში იდგა მსოფლიო ჩემპიონის ე. ბიკოვას და ე. კაკაბაძის პარტია. ეს მოჭადრაკეები აქამდე ხუთჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. აქედან სამი პარტია დამთავრდა ე. კაკაბაძის გამარჯვებით, ხოლო 2 ყაიმით. ბრძოლა ამჯერადაც ე. კაკაბაძის უპირატესობით წარიმართა. მოწინააღმდეგის მეფის ფლანგზე იერიშის მიტანის მიზნით ე. კაკაბაძემ მხედარი შესწირა ე. ბიკოვას პაიკში, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონი მალე იძულებული იყო დაებრუნებინა ფიგურა. ორმხრივ ცაიტნოტში მდგომარეობა გამარტივდა, პარტია გადაიდო. ე. კაკაბაძეს ზედმეტი პაიკი და უკეთესი პოზიცია აქვს.

ვ. ტიხომიროვამ მოუგო თ. სტრანდსტრემს, ლ. მალინოვამ — ტ. ფილანო